ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N18

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 19.07.2018 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - *ალექსანდრე ლილუაშვილი.*

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირამ ტალახაძე, ვარლამ გიორგაძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კობა ძაგნიძე, გელა ჩიკვაიძე, თამთა დვალიშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტკარაძე, პატაა ხურციძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე.

(დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირი:

მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი **ზვიად კაპანაძე.**
მერიის სივრცითი მოწყობის ინფარსტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი -**მამუკა ნამიჭეიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 15^{00} საათზ გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1 ,,ვანის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვანის ადმინისტრაციული ერთეულში სოლომონ II-ის ქუჩის N55 და N65 დამისამართებულ ობიექტებს შორის არსებული რაგბის მოედნისა და ტრიბუნებისთვის (საკადასტრო კოდით N31.01.30.188) ბეჟან ხურციძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე".

მომხსენებელი: /გიორგი ივანიაძე/

2. ,,ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-4 ქუჩისათვის (I ჩიხის ჩათვლით) 2011 წლის 24 მაისს საბრძოლო დავალების შესრულების დროს ავღანეთში ჰიმლენდის პროვინციაში გმირულად დაღუპული ლავროსი (ლაშა) ივანიაძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე".

მომხსენებელი: /გიორგი ივანიაძე/

3. ,,ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-10 ქუჩისათვის (I ჩიხის ჩათვლით) 2008 წლის 11 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში სოფელ შინდისში გმირულად დაღუპული მიხეილ დვალიშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე".

მომხსენებელი: /გიორგი ივანიაძე/

4. ,,ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-6 ქუჩისთვის (ამავე ქუჩის შესახვევებისა და ჩიხების ჩათვლით) 2008 წლის 9 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში ქალაქ ცხინვალში გმირულად დაღუპული დავით დვალიშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე".

მომხსენებელი: /გიორგი ივანიაძე/

5. ,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებების თაობაზე".

მომხსენებელი: /ზვიად კაპანაძე/

6.,,ვანის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხიდან შესასრულებელი სამუშაოების ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელი: /მამუკა ნამიჭეიშვილი/

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ, წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვანის ადმინისტრაციული ერთეულში სოლომონ II-ის ქუჩის N55 და N65 დამისამართებულ ობიექტებს შორის არსებული რაგბის მოედნისა და ტრიბუნებისთვის (საკადასტრო კოდით N31.01.30.188) ბეჟან ხურციძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილია ოთხი განკარგულების პროექტი სახელის მინიჭებაზე. მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე და რეგისტრაციის ყველა წესის დაცვით, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია სხვადასხვა პიროვნებების სახელების მინიჭება აღნიშნულ ობიექტებზე.

ერთ-ერთი ასეთი განკარგულების პროექტი არის ვანის ადმინისტრაციულ ერთეულში, რაგბის მოედანსა და ტრიბუნებს მიენიჭოს ბეჟან ხურციძის სახელი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვანის ადმინისტრაციული ერთეულში სოლომონ II-ის ქუჩის N55 და N65 დამისამართებულ ობიექტებს შორის არსებული რაგბის მოედნისა და ტრიბუნებისთვის (საკადასტრო კოდით N31.01.30.188) ბეჟან ხურციძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“.

(დანართი: განკარგულება N27 48)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-4 ქუჩისათვის (I ჩიხის ჩათვლით) 2011 წლის 24 მაისს საბრძოლო დავალების შესრულების დროს ავღანეთში ჰიმლენდის პროვინციაში გმირულად დაღუპული ლავროსი (ლაშა) ივანიაძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე".

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-4 ქუჩისათვის (I ჩიხის ჩათვლით) 2011 წლის 24 მაისს საბრძოლო დავალების შესრულების დროს ავღანეთში ჰიმლენდის პროვინციაში გმირულად დაღუპული ლავროსი (ლაშა) ივანიაძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე".

(დანართი: განკარგულება N27 50)

მეორე საკითხის განხილვის შემდეგ დეპუტატი დავით კაკაბაძე ტოვებს დარბაზს, ყოველგავარი ახსნა-განმარტების გარეშე.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-10 ქუჩისათვის (I ჩიხის ჩათვლით) 2008 წლის 11 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში სოფელ შინდისში გმირულად დაღუპული მიხეილ დვალიშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე".

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი -არცერთი.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-10 ქუჩისათვის (I ჩიხის ჩათვლით) 2008 წლის 11 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში სოფელ შინდისში გმირულად დაღუპული მიხეილ დვალიშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე".

(დანართი: განკარგულება N27 49)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-6 ქუჩისთვის (ამავე ქუჩის შესახვევებისა და ჩიხების ჩათვლით) 2008 წლის 9 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში ქალაქ ცხინვალში გმირულად დაღუპული დავით დვალიშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე".

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი -არცერთი.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-6 ქუჩისთვის (ამავე ქუჩის შესახვევებისა და ჩიხების ჩათვლით) 2008 წლის 9 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში ქალაქ ცხინვალში გმირულად დაღუპული დავით დვალიშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე".

(დანართი: განკარგულება N27 51)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიდ კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებების თაობაზე".

მომხსენებელმა წარმოადგინა საპრივატიზებო ობიქტთა ნუსხაში შეტანილი ოთხი ობიექტი თავისი საწყისი ფასებით.

სპეციალიზირებული ავტომანქანა (ამწე კალათა) ZIL 133 GIA, სახელმწიფო ნომრით ADO761, 15100 (თხუთმეტიათას ასი) ლარი, მუხლუხა ტრაქტორი VTZ DT-75, სახელმწიფო ნომრით HZ-957, 5070 (ხუთიათას სამოცდაათი) ლარი, ავტომანქანა „მიცუბიში პაჯერო ", სახელმწიფო ნომრით VMG-041; 4500 (ოთხიათას ხუთასი) ლარი, ავტომანქანა „მიცუბიში მონტერო-სპორტი," სახელმწიფო ნომრით TTE-317; 4500 (ოთხიათას ხუთასი) ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 25

წინააღმდეგი -1. (თორნიკე ერისთავი)

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებების თაობაზე“.

(დანართი: განკარგულება N27 52)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხიდან შესასრულებელი სამუშაოების ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის N 27 16 განკარგულებაში, ჩამოთვლილ პროექტებზე მითითებული იყო სავარაუდო ღირებულებები. მას შემდეგ, რაც თითოეულ ობიექტზე მომზადდა საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, დაზუსტდა თითოეული პროექტის ღირებულება. გამომდინარე აღნიშნულიდან N27 16 განკარგულებაში სამუშაოების ჩამონათვალში ცვლილებების გარეშე დაზუსტდა და დაკორექტირდა ობიექტების სახარჯთაღრიცხო ღირებულება და წარმოადგინა დანართი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 25

წინააღმდეგი -1. (თორნიკე ერისთავი)

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხიდან შესასრულებელი სამუშაოების ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

(დანართი: განკარგულება N27 53)

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე